



საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის სხდომა

№4

2014 წლის 21 იანვარი

თავმჯდომარეობდა

კომისიის თავმჯდომარე

დავით ნარმანია

ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

ნ. ხადური, თ. ცეკვავა, დ. სერგეენკო, ს. სუბარი,
შ. ფიფია, პ. ზაქარეიშვილი, ლ. სამადაშვილი,
კ. ურგულაძე, ლ. ყიფიანი, გ. ხელაია, ა. ხაბაძე,
პ. შავიშვილი

მოწვეული იყო:

ა. ჭიკაიძე, ნ. მიქელაძე, ს. უგრეხელიძე,
თ. ქაროსანიძე, გ. ფაცაცია, პ. უგრეხელიძე,
ქ. ნატრიაშვილი, გ. შარაბიძე

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ ცეკვავას ინფორმაცია 2013 წელს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ

(ნ. ხადური, დ. ნარმანია)

1. მოწონებულ იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია;
2. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია კომისიის წევრად მოწვეულ იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ ცეკვავას ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის განახლებული ვარიანტის შესახებ

(ნ. ხადური, დ. ნარმანია, ს. სუბარი, ს. უგრეხელიძე, ა. ჭიკაიძე, შ. ფიფია, ლ. სამადაშვილი, გ. ფაცაცია, ქ. ნატრიაშვილი, ნ. მიქელაძე)

1. მოწონებულ იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია;
2. დამტკიცდეს საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის განახლებული ვარიანტი.

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ ცეკვაძას ინფორმაცია აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობისას თვითმმართველ ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესახებ

(ნ. ხადური, დ. ნარმანია)

1. წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულია ცნობად;
2. ეთხოვოს სახელმწიფო რწმუნებულებს, თვითმმართველი ქალაქების მერებს და მუნიციპალიტეტის გამგებლებს წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენის საველე სამუშაოების პერიოდში (2 კვირა) 1 (ერთი) ერთეული საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
3. საქსტატმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ერთობლივად განიხილონ შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენის საველე სამუშაოების პერიოდში, წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესაძლებლობები.

კომისიის თავმჯდომარე



დ. ნარმანია

კომისიის მდივანი



კ. შავიშვილი